# ხელშეკრულება №75

ქ. ყვარელი 29 მაისი 2012 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ ზანდარაშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „ვალო"-ს დირექტორის თეიმურაზ გრძელიშვილი, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

სოფ. სანავარდოში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაო(6860)ლ, სოფ სანავარდოში სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაო(990ლ) ხელშეკრულებას ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია შესასრულებელი სმუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

## 2. სამუშაოს შესრულების ვადები და ღირებულება

2.1. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა 29/05-დან 29/07-მდე

2.2. შესყიდვის ობიექტი საერთო ღირებულება შეადგენს 7850 (შვიდიათასრვაასორმოცდაათი) ლარს.

## 3.. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ფორმა №2-ს წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" ავანსის სახით უხდის ობიექტის საერთო ღირებულების 50% საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. საბანკო გარანტიის ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება.

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად განახორციელოს სამუშაოები, უზრუნველყოს ხარისხი და დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

*მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, სამუშაოს მიღება-ჩაბარებიდან ორი წლის განმავლობაში.*

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6..2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7. ხელშეკრულების პიროებების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

## 8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 9 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს ამავე ხელსეკრულების მეორე პუნქტში მითითებული სამუშაოს დასრულების ვადას.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

მისამართი კუდიგორის ქ. №1;

საბანკო რეკვიზიტები სს ლიბერთი ბანკის ყვარლის ფილიალი ბანკის კოდი--LBRTGE22 ანგარიში ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00 საიდენტიფიკაციო კოდი 241578574

„მიმწოდებელი"

შპს ვალო საიდენტ. კოდი 441554462

მისამართი ყვარელი, ლეონიძის ქ, 54

საბანკო რეკვიზიტები:

სს „ლიბერთი ბანკი" (ყვარლის ფილიალი 440) ბანკის კოდი--LBRTGE22

ა/ნ – GE18LB0113115130279000

**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

**ბ. ზანდარაშვილი**

შპს „ვალო"

ო. გრძელიშვილი